


შავი ზღვის აუზის 2014-2020 წწ.  
ერთობლივი საოპერაციო პროგრამა  
საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები



ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა გარემოს  
მონიტორინგსა და მოდელირებაში თევზის  
მარაგებისა და არათევზეული რესურსების  
შესაფასებლად

**პროექტის პარტნიორები**

	<p>თევზის რესურსების ინსტიტუტი (IFR) ბულგარეთი <a href="http://www.ifrvarna.com">www.ifrvarna.com</a></p>
	<p>შავი ზღვის-დუნაის კვლევითი და განვითარების ასოციაცია, (BDCA) ბულგარეთი <a href="http://www.bdcabg.org">www.bdcabg.org</a></p>
	<p>სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი (AUTH) საბერძნეთი <a href="http://www.auth.gr">www.auth.gr</a></p>
	<p>სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო (NEA) საქართველო <a href="http://www.nea.gov.ge">www.nea.gov.ge</a></p>
	<p>რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი - მოლდოვა (RECM) მოლდოვა <a href="http://www.rec.md">www.rec.md</a></p>
	<p>დუნაის დელტას ეროვნული ინსტიტუტი (DDNI) რუმინეთი <a href="http://www.ddni.ro">www.ddni.ro</a></p>

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია: TIMMOD პროექტის კონსორციუმში რედაქტირებულია: რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი მოლდოვა დაბეჭდილია: პროექტის პარტნიორი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველო მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ.150; 0112 თბილისი; ტელეფონი: +995 591 34 09 09 ელ.ფოსტა: timmod@bdcabg.org ვებგვერდი: www.bdcabg.org

შავი ზღვის აუზის 2014-2020 წწ. ერთობლივი საოპერაციო პროგრამა © 2020 პროექტი TIMMOD-ის კონსორციუმში შავი ზღვის აუზის 2014-2020 წწ. ერთობლივი საოპერაციო პროგრამა თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის მეშვეობით და შემდგომი ქვეყნების მონაწილეობით: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. ამ პუბლიკაციის შინაარსი არის სრულყოფილად REC მოლდოვას პასუხისმგებლობა და არავითარ შემთხვევაში არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.



## პროექტი TIMMOD-ი

ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა გარემოს მონიტორინგსა და მოდელირებაში თევზის მარაგებისა და არათევზიური რესურსების შესაფასებლად (TIMMOD) არის შავი ზღვის აუზის 2014-2020 წწ. პროგრამის, პრიორეტი 2. შავი ზღვის აუზში გარემოს დაცვის და ზღვის ნაგვის ერთობლივი შემცირების კოორდინირების ხელშეწყობის, მიზანი 2.1 ერთობლივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გაუმჯობესების ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი.

პროექტის ზოგადი მიზანია: ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობით ერთობლივი გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და მოდელირების გაუმჯობესება, მონაცემთა ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება, შავი ზღვის წყლის ხარისხის, ბიომრავალფეროვნების სტატისტიკის და თევზის მარაგებისა და არათევზიური რესურსების შეფასების მონაცემთა გაზიარების თაობაზე თანამშრომლობა - ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის, მონაცემთა შეგროვების დირექტივის, ლურჯი ზრდის სტრატეგიის, გარემოს დაცვის შესახებ შავი ზღვის კონვენციის და სხვა EU და რეგიონალური პოლიტიკის და კონვენციების შესაბამისად.

პროექტი TIMMOD აერთიანებს 6 პარტნიორი ორგანიზაციის ძალისხმევას ბულგარეთიდან, საქართველოდან, საბერძნეთიდან, მოლდოვა და რუმინეთიდან და მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხებში ტექნოლოგიურ ინოვაციებს ტრანსსასაზღვაო თანამშრომლობის გაუმჯობესებას.

TIMMOD პროექტის ძირითადი მიზნობრივი ჯგუფებია:

- ეროვნული საჯარო დაწესებულებები და საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებები;
- სექტორული სააგენტოები;
- ინტერესთა ჯგუფები, მათ შორის NGO-ები;
- უმალესი განათლება და სამეცნიერო კვლევები.

## სპეციფიკური მიზნები

სმ1. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების (და სხვა დაინტერესებული მხარეების) გამოიყენებული შესაძლებლობების მიღწევა, წყლის ხარისხის პარამეტრებისთვის, თევზების და არათევზიური ცოცხალი რესურსებისთვის სანდო და თავსებადი გარემოსდაცვითი მონაცემების უზრუნველყოფა, გამოყენება და გაზიარება. სმ1 მიიღწევა ტექნოლოგიური ინოვაციების (სამომავლო და უახლესი ტექნოლოგიები) დეტალური ინვენტარიზაციით, და ასევე საპილოტე სადემონსტრაციო პროექტებში (ბულგარეთისა და საქართველოს მახლობლად მდებარე ზღვის სივრცეში) დატესტილი და დემონსტრირებული საუკეთესო პრაქტიკების განხილვით .

სმ2. ICT-ის საერთო ინსტრუმენტების ნაკრების შექმნით უკეთესი თანამშრომლობის მიღწევა და გარემოსდაცვითი მონაცემთა გაზიარების გაუმჯობესება შავი ზღვის პარტნიორებს შორის სმ2. მიღწეული იქნება საზღვაო გარემოსდაცვითი მონაცემთა დამუშავებისა და რიცხვითი მოდელირებისთვის განკუთვნილი ICT ინსტრუმენტების კომპლექსური ანალიზით, მათ შორის ჰიდროდინამიკური მოდელირების მაღალ დონეზე განხორციელებით და საპილოტე სადემონსტრაციო მონიტორინგის და მოდელირების მონაცემთა გაზიარების პლატფორმაში (MMDSP) web-ზე დაფუძნებული მონაცემთა ინსტრუმენტების განვითარებით.

სმ3. დღის წესრიგში დადგება ინოვაციური სტრატეგია, რომელიც შექმნილია რეგულაციების და ნებართვების (ეროვნული, რეგიონალური, ევროკავშირის) გაერთიანებისთვის, მათ შორის ახალ მონიტორინგთან და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, გამჭვირვალობასთან და ინოვაციების ხელშეწყობასთან ერთად. ინოვაციური სტრატეგია მიზნად ისახავს საპროექტო შედეგების მასშტაბის ზრდას შავი ზღვის ყველა რეგიონში მომდევნო წლებში - სწრაფი ტექნოლოგიური ზრდის შესაბამისად - ისე, რომ "ერთობლივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გასაუმჯობესებლად" უზრუნველყოფილ იქნას პროექტის შედეგების მდგრადობა.

## პროექტის აქტივობები

T1. ინვენტარიზაცია და გარემოსდაცვითი მონიტორინგის ინოვაციური ტექნოლოგიების პოპულარიზაცია თევზის მარაგებისა და არათევზიური რესურსების შესაფასებლად. ეს აქტივობა მიზნად ისახავს ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური პარამეტრების მონიტორინგისა და ცოცხალი რესურსების შეფასებისთვის წყლის ინოვაციური მონიტორინგის ტექნოლოგიების ინვენტარიზაციის შემუშავებას.

T2. შავ ზღვაში მონაცემთა დამუშავებისთვის მოწინავე ჰიდრო გარემოსდაცვითი რიცხვითი საშუალებების, რეალურ დროში კონტროლისა და საზღვაო პირობების პროგნოზირების შეფასება და რეკომენდაციები. მთავარი მიზანია ტრადიციული მონაცემთა დამუშავების და რიცხვითი მოდელირების მიდგომების ფოკუსის გაფართოება ანალიზში ჰოლისტიკური პერსპექტივის გათვალისწინებით.

T3. საპილოტე სადემონსტრაციო პროექტი ინოვაციური მონიტორინგის შესახებ, მოწინავე მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. ინოვაციური ინსტრუმენტაციის, მონაცემთა დამუშავების და რიცხვითი მოდელირების ინსტრუმენტების შერჩევა, რომლებიც იქნება დემონსტრირებული ვარნასა და ბათუმში, ორ საზღვაო არეალში/ სატესტო სივრცეში.

T4. ინოვაციის სტრატეგია, ერთობლივი მონიტორინგის, მონაცემთა გაზიარების და ტრანსსასაზღვაო ინფორმაციის გაცვლის სისტემების გასაუმჯობესებლად, საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივისა და მონაცემთა შეგროვების ჩარჩოს შესაბამისად. ეს საქმიანობა მიზნად ისახავს ერთობლივი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიური განახლებას გარემოს ერთობლივი მონიტორინგის განხორციელებაში, ტრანსსასაზღვაო თანამშრომლობისა და მონაცემთა გაზიარების სისტემების მომსახურებაში.